№ 22 (1272) ნოემბერი 1967

ნიანგი

გამოცემის 44-ე წელი ფასი 20 კაპ.

კატა: შეხედე, როგორ ძაღლ და კატასავით ჰამენ ერთმანეთს!..

უცხო სიტყვათა ლექსიკონში **რეკლამა** და **რეკლამაცია** ერთმანეთის გვერდით სწერია. ნაცნობი სიტყვებით რეკლამა **ქება**ა, რეკლამაცია — **გინება**. პრესის ვალია, რეკლამა გაუწიოს სარეკლამო საქონელს. ამ საქმეში ჩაება ნიანგიც. დღეიდან ჩვენს ვიტრინაში იხილავთ ექსპონატებს, რომლებიც იმსახურებენ არათუ რეკლამას, არამედ რეკლამაციასაც.

„თბილხელსაწყოს“ მზა ნაწარმის საწყობში გასინჯული 779 ვენტილატორიდან დაწუნებულია 779-ვე ვენტილატორი. აქ 100 პროცენტით შესრულდა წუნის „გეგმა“!

შეიძინეთ თბილისური ვენტილატორები! ჩვეულებრივი ვენტილატორი მხოლოდ სიოს უბერავს, ჩვენებური კი ჯერ აცეცხლებს კაცს, მერე კი აგრილებს!

თეატრალური საზოგადოების საწარმოში დამზადებული 48.900 ერთეულიდან გადასამუშავებლად დააბრუნეს 11.000 ნაკეთობა.

თუ გინდათ, ჭიპზე გასკდეთ სიცილით, იჩქარეთ შეიძინოთ აქ დამზადებული სათამაშო მაიმუნი: პრესფორმიდან დარჩენილი გაუწმენდავი ნაწიბურები, დეფორმირებული საყრდენი ჯოხი... ეს სათამაშო კი არა, ნამდვილი საფრთხობელაა. მაიმუნიდან შეიქმნა ადამიანი!.. ეს უფრო ადვილი დასაჯერებელია, ვიდრე ის, რომ ადამიანმა შექმნა ასეთი მაიმუნი!

ნიანგის რეკლამაცია

წუნის გეგმა 100 პროცენტით გაანალდა **„ცეკავშირის“ სისტემის უალკოჰოლო სასმელების 20-მა საამქრომ** — 10.856 ბოთლი ლიმონათიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ვარგისი რეალიზაციისთვის.

ამ ფაქტით აღშფოთებულო მოქალაქენო! თქვენ გეტყვიან, ვინც გაბრაზდა ცივი წყალი დალიოსო... ეარ დალიოთ იქაური ხილეულის წყლები!

...დარღვეულია გაფორმება, არ არის აღნიშნული ჩამოსხმის თარიღი, ფასი, საამქროს დასახელება, ზოგი, საერთოდ, უიარლიყოა, დაქვეითებულია შაქრიანობა...

ეს დიეტური ლიმონათი ზედგამოჭრილია დიაბეტიკებისთვის!

წულუკიძის გრეხილი ავეჯის ფაბრიკას უნდა დაერქვას ძალიან გრეხილი ავეჯის ფაბრიკა. იქაური სკამები არათანაბრად არის გაპრიალებული, რათა მომხმარებელი არ დასრიალდეს. მოლუნულ ადგილებს აქვს ნაკბილარები, რაც ამ სკამისადმი შიშსა და მორიდებას იწვევს.

გთავაზობთ **რუსთავის სასწავლო საწარმოს** საგალანტერეო და სამეურნეო პროდუქციას! აქაური დაწნული კალათები პირწავარდნილი და ძირგავარდნილი დეფექტური საქონელია.

ასევე დღის სინათლეზე გამოტანას ვერ უძლებს აქ დამზადებული მზის სათვალეები. საჭირო არ არის ამ სათვალეებიდან შეხედოთ საწარმოს პროდუქციას! ისედაც შავად მოგეჩვენებათ საქმე!

თბილისური სურა. „მადიანი“!.. არ წაგძლიოთ სულმა და არ აღგეძრათ მადა, არ გაბრიყვდეთ და სანამ საგულდაგულოდ არ შეამოწმებთ, არ შეიძინოთ! ამას წინათ 1200 ასეთ მადისაღმძვრელ „მადიანს“ მადა გაუფუჭეს: 120 საწარმოში დააბრუნეს, აქაოდა, უსწორმასწოროაო, ჭიქურით კარგად არ არის დაფარულიო, კარგი გამომწვარი არ არისო... დაიწვას მისი კარგად არგამომწველი!

შეიძინეთ **პიანინო „საქართველო“ № 398391** ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზეც ვერ გაარჩევთ „სულიკოს“ „ციცინათელასაგან“. იგი შესანიშნავი საშუალებაა მეზობლების გასაგიჟებლად, მუსიკალური ვიქტორინების მოსაწყობად — „აბა, გამოიცანი?!“ და სხვ.

იჩქარეთ, შეიძინეთ თბილისის სამხატვრო საწარმოში დამზადებული „ფისოები!“ ცოცხალ კატებთან მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ ეს „ფისოები“ არა მარტო თაგუნებს, არამედ ადამიანებსაც შიშის ზარს სცემენ მრუდედ დამაგრებული ე. წ. „შაშუბეში“ თვალებით...



ᲑᲘᲙᲘᲡ თუ არა შეტყობინება მოქბიკაშვილმა წითელწყაროს რკინიგზის სადგურიდან მის სახელზე გამოგზავნილი ორი ვაგონი აგურის მიღების შესახებ, სიხარულით იმსიმაღალზე ახტა, სახლი რომ დამთავრებული ჰქონოდა, ალბათ, ჭერს მიარტყამდა თავს, მაგრამ რაკი მაღლა შემხტარს ჭერი არ დახვდა მზად, უჯნებლად დაეშვა ძირს და რკინიგზის სადგურში მიირბინა.

ჩიხში ჩაყენებულ ღია ვაგონებს ჯერ გარშემო შემოუარა სიყვარულით, მერე მაღლა მოექცა და ზემოდან შეათვალიერ-შემოათვალიერა...

ზედა ფენას რომ დააკვირდა. შიგადაშიგ ბზარები შეამჩნია. ბზარები და მერე როგორი ბზარები! — სწორედ ისეთი, მშენებლები წარმოების წუნს რომ ეძახიან. შეამჩნია და არაფრად ეჭაბნიკა. ერგი ის ეჭაბნიკა, აგური რომ მაღლა შეისროლა და, უკან დაბრუნებული, ორცხობილასავით ჩაეფშვნა ხელში, მაგრამ გული არ გაიტეხა: „ოცდასამი ათას მვიდას ცალ აგურში რამდენიშე ცალი უხარისხო აგური რა ბედენაო“ და ვაგონების გადმოსაცლელად მუშახელი და სატრანსპორტო ტექნიკა დაატრიალა.

— აბა, ჰე! აბა, ჰო! — აჩქარებდა ვაგონზე მისულ მუშებს ბიკაშვილი და აგურით სავსე მანქანებს ღიღინ-ღიღინით მიაყვებ-მოაყვებოდა. სიმღერის გუნება მხოლოდ მაშინ შეეცვალა, როცა სამ-სამი ფენა აგურის აღების შემდეგ, მუშებმა ხელით გადმოტვირთვა შეწყვიტეს და მუშაობის დასაჩქარებლად ბიკაშვილს ნიჩბები მოთხოვეს.

ხომ არ გაგიჟდნენო, — გაიფიქრა ბიკაშვილმა და სანახევროდ გადმოტვირთულ ვაგონზე ავიდა. ავიდა, მაგრამ თვალებს არ დაუჯერა: დარჩენილი აგური ისე იყო ჩამტვრეულ-ჩაშლილი, რომ მართლაც



ძნელი იყო მისი უნიჩბოდ გადმოტვირთვა. ვიღაცამ დამღუპაო, — შეშოიკრა თავში ხელი და ამაოდ დაუწყო ძებნა სატრანსპორტო ზედნადებზე ვაგონებში აგურის ჩამტვირთავის გვარსა და სახელს. დუბლიკატზე მხოლოდ გამგზავნი სადგური მეტეხი და მიმღები სადგური — წითელწყაროა იყო აღნიშნული.

ელდანაცემმა ბიკაშვილმა რაიკოოპკავშირს მიმართა, რადგან აგური მისი მეშვეობით ჰქონდა გამოწვეილი მეტეხის სამშენებლო მასალათა კომბინატიდან. რაიკოოპკავშირმა მხრები აიჩეჩა და საჩქაროდ ორი დეპეშა აფრინა: ერთი მეტეხში და ერთიც თბილისში სასაქონლო ექსპერტის მოსავლინებლად.

მეტეხიდან წარმომადგენლის გამოსაგზავნად თავი არავის შეუწუხებია. ხოლო საქ. სავაჭრო პალატის სასაქონლო ექსპერტიზის ბიურომ კი მიავლინა ადგილზე ექსპერტი, რომელმაც, რაიკოოპკავშირის საქონელმცოდნესა და საწყობის გამგესთან ერთად, დაადგინა, რომ 23.700 ცალი აგურიდან დამტვრეულს გადარჩენილი 8.300 ცალი აგურიც დამსკდარი და მშენებლობისათვის გამოუსადეგარია. ამაოდ ეხვეწებოდა საექსპერტო კომისიას გაოგნებული ბიკაშვილი, ორი ცალი აგური მაინც შემირჩიეთ ისეთი, რომ ხელში დაჭერა შეიძლებოდეს და თავში საცემად გამოდგეესო, მაგრამ სურვილი რომ ვერ აუსრულეს, ცარიელ ხელებს-ღა იბრაგუნებდა გულზე. ბოლოს, გონს მოსულმა ბიკაშვილმა საიდანღაც ფოტოგრაფი მოიყვანა და ფაქტი სურათად აქცია. სურათის ერთი ეგზემპლარი მეტეხის სამშენებლო კომბინატს გადაუგზავნა შთაბეჭდილებათა ალბომში მოსათავსებლად. მეორეს კი ვაქვეყნებთ მომხმარებელთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

ნახ. გ. ლომიძისა



მუზეუმის ახალი ექსპონატი

მხეცს—სას—ჯელი!

ეს დღის ორ საათზე მოხდა. მოქალაქე მ. ნ. თვითმფრინავით ჩამოვიდა სტუმართმოყვარე თბილისში, სასტუმროში დაბინავდა თუ არა, იმავე წუთს საიერნოდ გასწია. უეცრად მას ერთი მომხიბლავი ახალგაზრდა მიუახლოვდა.

— მოგწონთ თბილისი? გეტყობათ, პირველად ხართ ჩვენს დედაქალაქში! — ჰკითხა მან მ. ნ-ს.

— დიახ, — მიუგო მ. ნ-მ ორჯერ ნასამართლევ, სკოლიდან გამორიცხულ, ლოთობასა და სპეკულანტობაში მრავალგზის შემჩნეულ, ჩვენი ჯანსაღი ცხოვრების მუწუკ სერგო მინასაშვილს.

— მაშ, მე გაგიწევთ მეგზურობას ჩვენს სტუმართმოყვარე, 1500 წლის დედაქალაქში! — შესთავაზა ადამიანის სხეულში დამალულმა პირუტყვმა უმანკოებით ალსავსე მ. ნ-ს.

მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და ის ისევ ტყისკენ იყურებოდაო. ასე შეიტყუა ტყეში მინასაშვილმა უმანკო, ქერა, ცისფერთვალება, ულამაზესი ქალიშვილი და...

ხერგო მინასაშვილი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ბირ-ტები

ნათქვამია, ქვეყანაზე ბოროტ კაცს რა გამოლევსო. მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა შრომით ფერხულშია ჩაბმული, ზოგიერთი „კალმოსნები" დამსხდარან და ირგვლივ ბოროტ შხამს აფრქვევენ.

ქ. №-ში, მ-ს ქუჩაზე მცხოვრებმა კ. ნ-მ, ს. პ-მ, ჭ. ჩ-მ, ნ. კ-მ და მ. პ-მ მალე გამონახეს საერთო ენა ერთმანეთში: გადაწყვიტეს, ანონიმური წერილებით ოჯახები დაენგრიათ და პატიოსანი ადამიანები ერთმანეთზე გადაეკიდებინათ. ობიექტებიც მალე აღმოაჩინეს — ა. რ., ს. ბ., კ. ნ., ჭ. პ., რ. ს., ლ. ჭ., ყ. მ., ო. პ. და შეუდგნენ თავიანთი სადისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ნათქვამია, სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო და მათი საქმიანობაც მალე გამომჟღავნდა. გამომძიებელმა მ. ნ-მ, მოწმეების — პ. რ-ს, კ. ს-ს და ნ. ჭ-ს დახმარებით მალე გამოიტანეს სააშკარაოზე ცილისმწამებლების, ჩვენი საზოგადოების პარაზიტების — კ. ნ-ს ს. პ-ს, ჭ. ჩ-ს, ნ. კ-ს და მ. პ-ს სახელები.

დიდიმ კატარაია

— არტუშა რომელია?!
— რა გნებავთ?!
— ძმის სისხლი მართებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეთითა!..

თავი საწყობს შეაფარა,
ვირთხასავით დიდხანს ღრღნიდა,
გაუგეს და გულდადარას...
მ ი ე თ ი თ ა!

მალე ტრესტში მოკალათდა,
რაც მოასწრო, გამოზიდა,
მაგრამ „რისხვა" თავს დაატყდა —
მ ი ე თ ი თ ა!

მშენებლობას მიაშურა,
ცემენტი და ხე-ტყე ჰყიდა,
გაუგეს და „შეახურეს" —
მ ი ე თ ი თ ა!

ჩამოინგრა სახლის ჭერი,
ქურდის ცოდვა ვეღარ ზიდა,
„დაისაჯა" ინჟინერი —
მ ი ე თ ი თ ა!

აქ ჩვენ დავსვამთ მრავალწერტილს
და უნდა ვთქვათ სიტყვა მწველი:
ზოგიერთის... ზოგიერთი
თითი არის მოსაჭრელი!

შოთა როყვა

ლაკონიური სტროფები

1

პლიაჟი. ქოლგები. კენჭები. მედუზა.
ნინიკოს თინიკოს ტიტიკო ეტუზა.
ფლირტების ფინტები. შიგ გულში—ჭრიალობა.
მმაჩი და მაყრები. ყანწების ყრიალობა.
რიჟრაჟი. დედოფალს—„მიშველეთ!"—
ალმოხდა.
თამადავ, სადა ხარ?! სასიძოვ, რა მოხდა?!
კვამლივით გამქრალხარ, კაცობა შეგირცხვა!
ექსპრომტად ცოლქმრობავ, ხომ არ გაქვს
შეკითხვა?

2

ბუჩქები. ნაძვები. პეპლები. ჩიტები.
ტყისპირი. წალკოტი. ხასხასა მდელონი.
ჯამები. ჩანგლები. ჭიქები. ტიკები.
მაგნიტოფონები. მზა სადღეგრძელონი.

ტოტები — ნახლეჩი. ბუჩქები — ნაკაფი.
არ გალობს ბულბული. არ დახტის კაკაბი.
ნამტვრევი. ნამსხვრევი. ნახშირი. ნაცარი.
ვისა გაქვთ შეკითხვა? ხომ ხედავთ, რაც არი?

3.

ფარდული. დანდური. ლუდი და არაყი.
კათხები. ქაფი და სისწრაფე ხელისა.
„მოსკვიჩი". ნაკვეთი. ქვის სახლი. (არა ხის).
სერია. მოგება. სულ ყოველ წელიწადს.

და უცებ... უწყება. კამერა. გუშაგი.
მამიდა კვაშიკო. ნათლია უშანგი.
მსაჯული. ვექილი. მტკიცება. ბრალდება.
სად არის თაღლითი? კვლავ გარეთ
ბრძანდება!

4.

ტრიბუნა. პროგრამა. „პროკოფი, სად ჯდები?!"
სასტვენი. მოთელვა. მეკარე. მსაჯები.
შეტევა. ფინტები. ქარი და ალმები.
კვანტები. წიხლები. სამბო და სარმები.
ჯარიმა. კუთხური. წაქცევა. „ავსაიტ!"
ექიმი. საკაცე. (გაქცევა არსაით).
ხომ ნახეთ, ფინალი უმაღლეს თამაშის?
ხელ-ფეხი თუ შეგრჩათ, უმადლეთ თაბაშირს!

მიხეილ გოგიაშვილი

ნახ. ბ. ლომვიძისა

— სანინალეთი ვეშვაო, დღეში 100 კაცს ვატყუებ, ბემინდრე, ბემაღე!..
— ბემინდრე, ბემაღა... კალიან ძვირი დგიმ-დგია, ბვიღლ!..

ᲞᲘᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲘ

დაბრუნა თუ არა, ბორჩიმ-თბილისის მატარებელი, ბაკანზე ბავშვის ტირილი გვიგონია.

— ბაბა, ბაბიკო! მეც წამიყვანე!..

დედა ეფერებოდა ბავშვს, აწყნარებდა და თან მატარებელში ეიღებდა ბარგებს ხელს. ბავშვის მამა ჩვენს უკან იდგა და ისიც ხელს უქნევდა ცოლ-შვილს.

— რაშია, ახალგაზრდა, სამეგრე! რატომ ატირებ ბავშვს? სირცხვილი ხელ დაგარეგ?!— წყრომით მომართა ჩვენმა ბანაბეშულმა ქალმა.

— რა ვქნა, ქალბატონო, ხელ ამა მიცილებს, ტირის, მეც წამიყვანეთ თბილისშიო.

— მერე რატომ არ მოგიყვანს? რატომ აბეგრე ოჯახს? ცოლს თუ ვერ ეგუები, ბავშვმა რა დაგიშავა?

ახალგაზრდამ გაკეთებული შეხედა დედაკაცს.

— ნაფდან ადგიო, ქალბატონო! არაფეთარი ოჯახი არ დამინგრეია, თბილისში მიეფიარ ფ ბაბალს უკან დაგბრუნდები.

— მარილა? მე კი მეგონა, ცოლს გიეკარეო. ალმერნგს არ იხდიო, ცოლმა ოთახი ნაგარეთვო, თქვენ სხვა ქალი შეირთეთ და მაკანანაც ეკავეთ შვილი. მერე ამანაც გიეკარეთ და პირველ ცოლთან ვინდოლათ შერიგება. ეარი რომ გეთქრა, ეუდანმოტებულო ბრუნდიანი თბილისში. მეგონა, ამიოგმ ტარიოა ბავშვი...

ვიგაწნეი სიცილი ტატდა ქალმა ისეთი თვალეები შეშოგგებედა, რომ სიცილი წამში შეწყდა.

— რა იყო, ქალბატონო? რატომ იცინიო? არ მოგწონო, სიმარილეს რომ ვიმბობ, ხომ? რას იზამ, ჩვენი ხნის ხალხს დაიჯერებ ალარა გვაქვს. გეთამაშდეთ, თქვენი გეგონიათ ცა და ქვეყანა. ახლა კიდევ ბუთდლანან ეკარა მოგეცეთ — არიკა, ბეგრა რა იმეშეთო. ეარმრიელთანა გაეფერებიდეთ, გიერთეთ, იმერეეი, იეეკეეთო. ეკი თქვენს პატარინს! ჩემი ნება რომ იყოს, არ დღეს კი არა, ერთ სათა არ დგაბაეენებდეთ, სისელელეებუნე რომ არ იფიქროთ. შეეკარებელი ეკარ?

— გეთხოვილი ვარ, დეიდა. შვილიც მეკვლ...

— ბასაეენია, ბასაეენი! ეხე იგი გეთხოვილიე ხარ და შეეკარებელე ეკარ. ეკონიდ, გიგა! მე ამ ხნის ქალი ვარ და ჭერაკე ვერ გამიბედია გეთხოვება. რა დროს შენი გეთხოვება იყო? ალბათ, მამამ გამოგაგდო სახლიდან და სხვა ეარ არა ეკონდა!

— არა, ქალბატონო, მამა იმში დამეფლა...

— არც დედა ეკოვე?

— დედა მეკვეს, როგორ არა მეკვეს.

— ჰოდა, ის გამოგაგზავნა. გიგარ, ალბათ, შენი უწეენო ხაკეიილი და გამოგაბრძანა. შინაგან. მერე შენსაკვი გაგიკალეტდეს გადაეკეკე და ცოლად გაგეკეეე, ხომ? ხმა, ხმა არ ამოიღო! ეკეელაფერი ვიცი! ამა გეკოლეკეა ეფცრონი. ალბათ, ეკეკე ხელეგნობისთვის ჩასვეს ციხეში, მერე ამა კი ეალმ ფეულს ამზალეტს და ამასაც დღე-დღეზე დაიჭერენ. იფ. ოფ! რა ოჯახია?! ხმა, ეარანგი-მეთქი! ...არაფერი გაგეს ხალმეელ? შენ თვითონ რა მოხდელ ხარ, რაგომ მოდიხარ თბილისში? შეეკარებელი ბოგენაგარ?

— დაუსწრებელზე ეაინაეთან... ოერდიეფ. ეეი...

— აი, ბატონო, — მომმართა ქალმა, — ხომ გეთხარით! ქმარ-შვილ-ოჯახეეი, ეზნერი-ეწეურ-ეალი დაეარა დაუვეეეი. ჩასხმურნეულ ხახეში, თვითონ კი კანონების საეეფლად მიეეგზავრეეა. ხა, ხი, ხი!

მატარებელი კი მიჩერის და ვინ იცის, ვის ოჯახში მიაკვეს ეს კეთილი, სათნო დედაკაცი. ჩვენს ირაკლეს ადგილები დაკარგილდა — ვიგონის ბილოსკენ ნაკეიდა „ორცოლიანი“ ახალგაზრდა, ტარიელი გაგვშრიდა ხტუდენტი გოგონა. ახალგაზრდების სიმდერა შეწყვეტეს, შიშით უცქერდნენ ხახეშეხულ ქალს. ის კი არ ცხრებოდა: შეხედეთ, შეხედეთ ამ ბიჭს, ბოძთან რომ დგას, იმაა, ფიან, იმაა, ნოთელეფლანაგვეეანს. ვამოვა ამისგან კაცი? ხკოლა-ინტერნატიდან იქნება გამოპარული! შეგეკეკლა, ბატონო, ხელში ამიდენმა ხკოლა-ინტერნატებმა, პიონერთა ბანაკებმა, ანანინატებმა, სანატორიუმებმა და ტურბაზებმა... ახლა კიდევ ეკეკეი ოჯახში ტელეეიზორი უდგაო, სოფლიდან ელეტებმა და ბიბლიოთეკებს ამეზენენ. ამისთვის მოგახმენეთ რეკოლეცია?

ცხოვრების „ეკეფლმართობთ“ აღშფოთებული ქალი ფანარიკეკენ მიბრუნდა, ბეეე დრო ვიხილოთ და სხვა ხკამზე გადაკეკეკეკ.

...მიჩერის მატარებელი. ეანერებს გადაემა აეკვეტილი მინდვრები, ეეეხეეები, ეიაბნი სახლეები, ბრიალი ავტომანქანებია. ეს ქალი კი ეკვანეთ გაიარეს მეზობლეს: შეხედეთ, ეეფრეი ინ.ერთხეს? მაგრამ რაე დალეკა?!

ბეზრამ ხარაძე

— ხეარდა დამიბრუნე!!!

— დაიჭირეთ! — ეურნა ჩაჩეკინა შეკანის კაცმა და სახალხო რაზმელს აედევეა. სახალხო რაზმელი ეიღო კაცს მიმდევდა.

— დაიჭე, — ეაეეთა ხალხმა. და სახალხო რაზმელს გამამხნევებელი ყიეინით გაკაეა. მეც გადამეეეი ცნობისმოყვარეობის საეილები.

— რა დაეაშავა? — მკითხა ილეიანი ჯიბაბიჩრაკეს, მოთხოეაიეე კაცმა.

— დანის ხმარება ეეცდა, — არ მაცალა ქალები ბერთოეეი ბრგაალეა კაცმა, რომელეე ჩაიდგანეეი ფეედა.

— დანა?! — და ზოგი ჩამოეკეკეკეკ.

— ეარრეეთ! — დაკაოეკა ბერთოეეი ბრგალმა.

— ნუ შიშობთ, შენთან ვარო! — ამბნეკეკენენ სახალხო რაზმელნ.

ეკეკე ეეეკეკეკეთ, როგორ მიეკარეკეკეკ სახალხო რაზმელი გაკეკეკეეს, ეოტეკ და საყელოში ხეკეკ. ამაბიბაში ჩეკენ მიეკეკეკეკ დეთ.

— შე ეანინეთო! — აო ცხრებოდა სახალხო რაზმელი, — ამას ხეკეკ ადგილეკეში ვიტაკეკ. ხომ დეეზეკარარო? ეს ხალხი შენმა ეანიმაბა ხაკეკეკეკეს ალაშფოთა!

ბერე ეიიბიდან ამოიკალა ეეიიანეი ნაკეკეი და ბკლაკეკ შემოეკეკა.

ᲐᲗᲐᲜᲐᲓᲘᲚ ᲐᲠᲝᲘᲜᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲩᲕᲔᲚᲘ ᲒᲖᲐᲠᲓᲚᲘᲙᲘᲠᲒᲐ

— ნუ ეკეკეკეთ, ეკეეეეეკ ეკეეეეეკ! — ეეეეე

ნახ. გ. ლომიძისა

757
29/XI 67

იაპონიის საჩუქრების მაღაზიებში გამოჩნდა სუვენირები, რომლებიც დამზადებულია ვიეტნამში ჩამოგდებული ამერიკული ფეთქებადი ნივთიერებებისგან.

— რა სუვენირს ეძებს ამერიკელი ქალბატონი ჩვენთან?
— სუვენირს კი არა, ქმარს დაეძებ!..

... ერთადელი საჩუქარი

ჩემს დირექტორს ძაღლის თაობაზე ხშირად ჰქონდა უსიამოვნება ცოლთან. დირექტორს გაგიუებით უყვარდა თავისი ტერეზა, სულში იძვრენდა, ცოლი კი გულზე სკდებოდა. „ან მე, ან ძაღლი!“ — დაისვა საკითხი. დირექტორმა ცოლი აირჩია და ძაღლი მე მაჩუქა. თურმე ნაჩუქარ ძაღლსაც გაესინჯება კბილი, რადგან ამ საჩუქარმა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო.

ჩემს ლამაზ ცოლსაც ტერეზა ჰქვია. ძაღლს ხან ალფას ვეძახდით, ხან ვეგას, მაგრამ ყურებსაც არ აპარტყუნებდა. ბოლოს შევეშვით და ისევ ტერეზად დარჩა.

ამას წინათ მე და ჩემი თანამშრომელი სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდით. მოულოდნელად გზაზე კარის მეზობელმა შემაჩერა, მოურიდებლად გამიხმო გვერდით და ყურში ჩამჩურჩულა: „შენი დირექტორი იყო სახლში, ტერეზა მანქანაში ჩაისვა და სადღაც გაქანა.“

— მერე, ეს რა საჩურჩულოა?! — ხმამაღლა ვუთხარი და ყველას გასაგონად ამაყად წარმოთქვი: „რაც პორფირიჩმა ცოლი ესენტუკში გაისტუმრა, ჩემს ტერეზას წყნეთში დაასეირნებს.“

მეზობელი გაშტერებული მიყურებდა. ერთ ხანს ხმა ვერ გამცა, მერე კი... „ფუი შენს ვაუკაცობასო,“ — წამოიძახა და გამცილდა.

— თავხედი! — ვთქვი გუნებაში და მხლებელს გავუღიმე.

— რა გაცინებს? — მომიგო მან, — ხაზეინს შენი ცოლი წყნეთში წაუყვანია, სასაცილოდ გაქვს საქმე?

— რას ბედავ! — ვიწყინე მე. — ტერეზა მისი ყოფილი ძაღლის სახელია. შაბათობით წყნეთში მიყავს ხოლმე სასეირნოდ.

— ჰო, მართლა, არ გამიკვირდა, შენი ცოლიც ხომ ტერეზაა, — ღიმილით მომიგო მან და გამომემშვიდობა.

სახლში მისვლამდე საკონდიტროში შევირბინე და ცოლს მისი საყვარელი ორცხობილა ვუყიდე. ოთახში შესვლისთანავე ტერეზა... ყეფით შემომხვდა.

გულშემოყრილი წყნეთისკენ გავქანდი...

თენგიზ I

„მთვრალო, ეს შენ!“

ავტობუსი თითქმის ცარიელი იყო. მთვრალი ფეხზე იდგა და იდაყვით მელოტი მოქალაქის თავს ეყრდნობოდა.

— მთვრალია! — შენიშნა ჩემს გვერდით მჯდომმა

— უთხარი, წინ გაიაროს! — უთხრა მეზობელმა კონდუქტორს.

— გაიარეთ, მოქალაქე, გთხოვთ! — თხოვა კონდუქტორმა მთვრალს.

— თავი დაანებე! ვერ ხედავ, მთვრალია? ფხიზელი რომ იყოს, კიდევ ჰო, მთვრალს რა მოეთხოვება, — გამოვექომაგე მე.

— მაგი მთვრალი იყოს, ჩემი რა ბრალია?! — თქვა მელოტმა.

— შენც ადექი და გაიწიე! — ურჩია ვიღაცამ.

მელოტი გაიწია, მთვრალი წაბარბაცდა და მელოტს შეაგინა. მელოტი გაფითრდა.

— მოიწიე, თორემ!.. — დაემუქრა მთვრალი.

— თქვენ, მოქალაქე, იცით, რას გეტყვით?..

— მთვრალია, თავი დაანებე! — ვურჩიე მელოტს.

— მოიწიე, რომ გეუბნება! ხომ ხედავ, მთვრალია! — უთხრა ვიღაცამ მელოტს. მთვრალმა კისერში ჩაავლო ხელი და მოსწია.

— შოფერ! მილიციასთან გაიჩერე! — იყვირა ვიღაცამ.

მთვრალი მობრუნდა და მგზავრებს ამღვრეული თვალები დაუბრიალა. ავტობუსი გაინაბა.

— წადი! წადი! ცოდვაა მაგის მილიციაში წაყვანა, შინ ცოლ-შვილი ელოდება! — გამოვექომაგე მე.

— ვინ არის მთვრალი?!. მე?.. მე?.. — მთვრალმა თვალები გადმომიკარკლა. რა ჩემი საქმეა, რომ ვეჩრები, ყველამ თავის თავს მოუაროს! —გავიფიქრე და მთვრალს თვალი მოვარიდე. იგი ისევ დაეყრდნო მელოტს. მერე რაღაც არ მოეწონა და ვიღაცას შეაგინა. შეგინებული აღშფოთდა.

— შეეშვი, მთვრალია! — ვურჩიე შეურაცხყოფილს.

მერე მთვრალმა კიდევ ვიღაცას შეაგინა, კონდუქტორს ბილეთები წაართვა, ხანშიშესულ მანდილოსანს ხელი მოუთათუნა და მელოტს კეფაზე უჩქმიტა. მე აღვშფოთდი, მინდოდა მთვრალისთვის შენიშვნა მიმეცა, მაგრამ გადავიფიქრე: რა ჩემი საქმეა, ყველამ თავის თავს მოუაროს!

ცოტა ხნის მერე მთვრალმა მინა ჩაამსხვრია, ვიღაც მგზავრს ყელსაბამი წაართვა და ტუფლები გაიპრიალა, ჩემკენ მობრუნდა, დიდხანს მიცქერა ამღვრეული თვალებით და... მომაფურთხა.

— მილიცია! გაჩერე! რას გაჩუმებულხართ, ვერ ხედავთ? შეურაცხყოფა მომაყენა? — ვიღრიალე მე...

ნ. ჯაფარიძე



ნახ. ბ. ფირცხალავასი

— თქვენ იუბილე გადამიხადეთ და დაფ-ნას მე ვიშოვნი!

„ეზოში ავი ძაღლია!“

„ეზოში ავი ძაღლია!“ —
კარს წარწერა აქვს ამგვარი.
ჩავიარე და შევჩერდი,
ძაღლია, მაგრამ რად არის?

ეზოს ვინ ელის მპარავი,
თავდამსხმელი და ამკლები?
ძმობას, ერთობას ვქადაგებთ,
რად გვინდა ავი ძაღლები?

ეზოს ჩავხედე: ტალავერს
გვერდს უმშვენებდა ხეხილი,
გარაჟთან იდგა მანქანა
ირმით — რქაგადაგრეხილით.

ეზოში სახლი ლამაზი,
ორნამენტი და არშია...
ვთქვი: ყველაფერი კარგია,
ძაღლი კი რა შუაშია?

მეზობლად ყავარჯნიანი
მოხუცი მზეზე თბებოდა,
მან მიპასუხა, რაც ავ ძაღლს
და პატრონს შეეხებოდა:

„ძაღლი კი არა, ბატონო,
(განა მიხვედრა ძნელია?),
ძაღლი კი არა, ეზოში
ავგული მასპინძელია.

აქეთ და იქით ძვრებოდა
სხვათა და სხვათა წყალობით...
ეგ სახლი აგებული აქვს
ქრთამით და მამაძაღლობით.

განა დაზგასთან შრომობდა,
განა ხნავდა და ბარავდა?
.საწყობებს ღრღნიდა თაგვივით,
ცემენტს და ფქვილს იპარავდა.

დღეს ავი ძაღლით გვაშინებს,
რადგანაც თავად ქორია
და ყველა ამვლელ-ჩამვლელი
მასავით ქურდი ჰგონია.

ახეა, ჩემო ბატონო,
(განა მიხვედრა ძნელია?),
ძაღლი კი არა, ეზოში
ავგული მასპინძელია!

გრიგოლ გრიგოლია

— ძველი ინტრიგანი და ანონიმკისტი ყოფილა, არც ერთი ჯგუფის სისხლი არ მი-უდგა!

— წითელი მელანი გადაუსხით!

დიპლომები სწრაფად და იაფად!..

1957 წელს **ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯვარში, ხუტა ქელბაქიანის** ბინაზე, არცთუ ისე საზეიმო ვითარებაში, გაიხსნა სტომატოლოგიური კაბინეტი...

ხუტამ კბილის ექიმობას დაასო კბილი. დაიწყო მისი სამედიცინო კარიერა. ბევრი ფული და კბილი დააძრო ხუტამ ჯვარელებს...

წინდახედული კაცი იყო ხუტა და დიპლომის უქონლობა კბილის ტკივილივით არ ასვენებდა. გულის ხვაშიადი სიყრმის მეგობარს — **ჟორჟ მოსიძეს** გაანდო.

— მოწყობა უფრო ძნელია სამედიცინოზე, ვიდრე დიპლომის აღება! იაფად გაშოვნინებ!..

ცოტა ხანში ხუტამ სულ რაღაც ხუთას მანეთად სტომატოლოგის კვალიფიკაცია მიიღო. ჟორჟის პატივსაცემად ხუტას დიპლომის ნომერი „ჟ-თი იწყებოდა — **ჟ. № 726105.**

არც გამოცდები, არც ლექციები, არც საგნების მომზადება... გულში იხუტებდა ხუტა დიპლომს და ღიღინებდა: „ეს დიპლომი ხუტასიო, ღირს სულ რაღაც ხუთასიო“.

ხუტა ქელბაქიანს ევიწროვა თავისი კაბინეტი და 1960 წელს **სოფელ რიყის საავადმყოფოში** მოეწყო ექიმ-სტომატოლოგად. იქაც რიყის ქვებივით ისროდა აქეთ-იქით აუტკივარ თუ მტკივან კბილებს. შემდეგ **ზედა ეწერის საავადმყოფოში** გადავიდა იგივე თანამდებობაზე, თეთრ ხალათში გამოწყობილი ხუტა შავ დღეს აყრიდა პაციენტებს აგერ 1967 წლის მაისამდე. შემდეგ „მოღვაწეობის“ ზუსტად ათი წლისთავზე გაუგეს და მოაძვრეს „სიბრძნის“ კბილივით.

რამ მიიყვანა **არჩილ იოსების ძე შვანგირაძე** სტომატოლოგობამდე?

ბედნიერმა შემთხვევამ თუ შინაგანმა მოწოდებამ? მისი ბიოგრაფია ერთობ წააგავს **ხუტა ქელბაქიანის** ბიოგრაფიას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აჩიკო **კურორტ წყალტუბოს სანატორიუმ „რიონში“** მოღვაწეობდა კბილის ექიმად, და კიდევ იმაში, რომ მის აგრეთვე ხუთასმანეთიან დიპლომს, გარდა თაღლითობის ბეჭდისა, ყაზანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბეჭედიც აზის. **ხუტიკო** და **აჩიკო** გაპრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. არც ამ ყოვლად უკანასკნელს „გაუმართლა“, გაუგეს და იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს, თუმცა, რა თქმა უნდა, არა სტომატოლოგად...

ყველას ჯვარი გვწერიათ კბილის ტკივილისაგან, მაგრამ კიდევ უფრო ჯვარი გვწერიათ ისეთი სტომატოლოგებისაგან, როგორიც **ჯვარელი ქელბაქიანი** და **წყალტუბოელი შვანგირაძეა.**

ბ. ლუტიძე,
მილიციის კაპიტანი.

რომც...

ცხელა. ავტობუსი ისეა გაჭედილი, ჰაერის ღრმად ჩასუნთქვა ჭირს. ბოლომდე ამოსუნთქვაც საშიშია, შეიძლება ვეღარ ჩაისუნთქო. ხელის განძრევა შეუძლებელია. ჯიბეში რომ გინდოდეს ჩაყოფა, ვერ მოახერხებ. სხვას რომ მოუნდეს შენს ჯიბეში ჩაყოფა, მით უმეტეს ვერ მოახერხებს. რომც მოახერხოს, ვეღარ ამოიღებს. ავტობუსი ყოველ გაჩერებაზე ჩერდება. რომც არ გაჩერდეს, არაფერი დაშავდება — უკანა კარები, სულ ერთია, არ იღება. რომც გაიღოს, აღარ დაიხურება. ვიღაც ახალგაზრდა ზის და ფეხზე მდგომ მოხუცს შეგნებულად ვერ ამჩნევს. რომც შეამჩნიოს, მაინც არ ადგება. ვიღაცამ მოახერხა და ექვსი კაპიკი მიაწოდა კონდუქტორს. კონდუქტორმა ხურდა არ დაუბრუნა. მგზავრს ხმა არ ამოუღია. რომც ამოეღო, მაინც არ დაუბრუნებდა. უკანა სკამზე მჯდომმა მამაკაცმა პირში სიგარეტი გაირჭო. მაგრამ ასანთი არ ჰქონდა და ვერ გააბოლა. რომც გაებოლებინა, კაციშვილი არაფერს ეტყოდა. ვიღაცამ ფანჯრის გახსნა მოინდომა, მაგრამ ჩარჩო ვერ ჩამოაწია. რომც ჩამოეწია, ვეღარ ასწევდნენ. გრძელთმიანი ლაწირაკი დანით სავარძელს ჭრიდა და კაუჩუკს იღებდა. გვერდით მჯდომი მამაკაცი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდა. რომც ეთქვა, არაფერი გამოვიდოდა. ქალმა კაცს ფეხი დაადგა და აღებას აღარ აპირებდა. კაცი ჩუმად იყო. რომც ეთქვა, მაინც არ იყო ფეხის დასადგმელი ადგილი..

ოსტრიხი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე, (მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

ნიანგი

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელ. 9-76-69, 3-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Ниангн».
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 4/XI 1967 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4128. უე 02310
ტირაჟი 71.000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76317
I
1967



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ცოლი ვის გვარზე დაიწერება?
— მაგას მთელი ქონება მამიდამისის სახელზე აქვს გაფორმებული და ცოლიც მის გვარზე დაწერეთ!